ფსიქიკური ჯანმრთელობა და ბავშვობის მძიმე გამოცდილებები კომერციულ სექსმუშაკ ქალებში საქართველოში

სტუდენტი: თამარ თევდორაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

1.2 განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''.

თამარ თევდორაშვილი

18.06.2021

1.3 აბსტრაქტი

კომერციულ სექსმუშაკ ქალებში (კსმქ) ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. აღნიშნული კვლევის მიზანია კომერციული სექსმუშაკი ქალების ბავშვობის მძიმე გამოცდილებების, ახლანდელი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, სტრესმესმედეგობის (resilience), ფატალიზმისა და მათი სუბკულტურის კვლევა.

კვლევა ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანადგომის'' ბაზაზე. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს აღნიშნულ მოწყვლად ჯგუფთან. კვლევა შერეული ტიპისაა. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავდა არაალბათური ხელმისაწვდომობის პრინციპით შერჩეული 50 კსმ ქალის ონლაინ ჯვარედინ-სექციურ გამოკითხვას. კითხვარით, რომელიც შევადგინეთ კვლევის ამ კომპონენტისთვის მოიცავდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბავშვობის მძიმე გამოცდილებების კითხვარს (ACE), დეპრესიის სკრინინგს (PHQ 9) და შფოთვის სკრინინგს (GAD 7), ფატალიზმის კითხვარი (MFQ), სტრესმედეგობის კითხვარს (RES) და დემოგრაფიულ თვისებრივ ნაწილში, რომელიც კსმ ქალების სუბკულტურას ეხებოდა მონაწილეობა მიიღო ორგანიზაცია ,,თანადგომის'' სამმა თანამშრომელმა.

კვლევისთვის გამოვიყენე კითხვარები: ბავშვობის მძიმე გამოცდილებების კითხვარი (ACE), დეპრესიის სკრინინგს და შფოთვის სკრინინგი ფატალიზმის კითხვარი (MFQ), მედეგობის კითხვარი (RES) და 12 კითხვისგან შემდგარი ღია კითხვარი თანამშრომლებისთვის.

შედეგებმა გამოავლინა, რომ კსმ ქალებს აქვთ შფოთვისა და დეპრესიის მაღალი მაჩვენებელი, ბავშვობაში გადატანილი აქვთ მძიმე გამოცდილებები (M=3.73). კვლევამ აჩვენა, რომ ქალებს აქვთ სტრესმედეგობის მაღალი მაჩვენელი (M=25.5, SD=9.28), ხოლო სამყაროს მათი აღქმა ფატალისტურია, ისინი ავლენენ ბედთან შეგუების მყარ დისპოზიციებს, კვლევის თვისებრივმა კომპონენტმა გამოავლინა კსმ ქალების სუბკულტურისთვის დამახასიათებელი ისეთი ქცევები როგორიცაა ურთიერთისგან გაუცხოება და დაბალი სოლიდარობა და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

კვლევამ დაგვანახა, რომ კომერციულ სექსმუშაკ ქალებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებია, რაც უსვამს ხაზს ამ ქალებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის

სერვისების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას. ასევე, მნიშვნელოვანია ამ სამიზნე ჯგუფთან დაიგეგმოს შემდგომი კვლევები, მათი ცხოვრების ხარისხის გაუჯობესებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გამოსავლენად.

საძიებო სიტყვები: კომერციული სექს მუშაკი ქალი, შფოთვა, დეპრესია, ბავშვობის მძიმე გამოცდილებები, სუბკულტურა, მედეგობა, ფატალიზმი.

1.3 Abstract

Research on mental health issues among commercial sex workers (CSWs) has never been conducted in Georgia. The purpose of this research is to investigate the difficult childhood experiences of commercial sex workers and their current mental health problems and subculture.

The research was conducted on the basis of non-governmental organization "Tanadgoma". The organization is actively working with this vulnerable group. Research is mixed type. Quantitative research includes cross-sectional component where 50 female CSWs have participated, questionnaire includes World Health Organization's questionnaire Adverse Childhood Questionnaire (ACE), Screening of Depression (PHQ 9) and Anxiety (GAD 7), Fatalism Questionnaire (MFQ), Endurance Questionnaire (RES), and a 12-item open-ended questionnaire for the staff members. As for the qualitative research on Subculture of Female CSWs - three staff members of "Tanadgoma".

The results show that CSWs women have a high rate of anxiety and depression, have endured severe childhood experiences (M=3.73) According to the research, women demonstrated high rate inability to cope with the stress (M=25.5, SD=9.28), perception of the world is fatalistic. The research revealed factors that are characteristic to the subculture of female CSWs, such as alienation from each other and low solidarity and care for physical safety.

The research found that female commercial sex workers have mental health problems, which emphasizes the need for accessibility and improvement and access to mental health services. It is also important to plan other in-depth further studies with this group that will help us emprove female CSWs quality of life.

Key words: Commercial sex workers and depression, anxiety, depression, adverse childhood experience, resilience, subculture, fatalism.

1.4 მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - დარეჯან ჯავახიშვილს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდი კოლეგებს, ორგანიზაცია ,,თანადგომის'' წარმომადგენლებს როგორც კვლევაში მონაწილეობის მიღებისათვის, ასევე გაზიარებული გამოცდილებისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, რომლებმაც არ დაიშურეს დრო კითხვარის შესავსებად.